

<b>სილაბუსი 2014-2015 სწ</b>	
სასწავლო კურსის დასახელება	კრიტიკული მედიცინა
სწავლების საფეხური	ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლება
სასწავლო კურსის ტიპი	ძირითადი, მედიცინის ფაკულტეტზე სასწავლო კურსი წარმოდგენილია როგორც დიპლომისწინა განათლების დისციპლინა და შეისწავლება მე-5 კურსზე 7 დღე
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	დიპლომირებული მედიკოსის (ექიმის) პროგრამა
სასწავლო კურსის ავტორი და განმხორციელებლები	კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. ზ. ხელაძე და დეპარტამენტის პედაგოგები
კრედიტების რაოდენობა ESTS	2
საათების რაოდენობა	60
საკონტაქტო	34 სთ ( ლექცია- 6 სთ, კურაცია-26 სთ, გამოცდა- 2სთ)
არასაკონტაქტო	26 სთ (მუშაობა ლიტერატურაზე, მზადება სემინარისთვის, გამოცდისთვის, მორიგეობა)
სასწავლო კურსის მიზანი	მისცეს სტუდენტს საშუალება გააღრმავოს წინა კურსებზე მიღებული ცოდნა კლინიკურ და პრეკლინიკურ საგნებში; შესძლოს მიღებული ცოდნა გამოიყენოს კლინიკურ პრაქტიკაში; აითვისოს მწვავე და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროს გადაუდებელი დახმარების მეთოდები ( როგორც საველე, ისე სტაციონარის პირობებში); გაეცნოს დიაგნოსტიკის და სინდრომული თერაპიის საკითხებს; შეისწავლოს სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფის მეთოდები, ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია, გულის მასაჟი; კონიკოტომია; ტრაქეოსტომია; ვენაში ხსნარების გადასხმა; ზონდური კვება; ოქსიგენოთერაპია; უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა; მონიტორინგი; ალერგიული გართულებების პროფილაქტიკა და სხვა.

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	წინა კურსზე გავლილ საგნებსი გამოცდების ჩაბარება
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	<p>სწავლება იწარმოებს ალგორიტმებზე დამყარებული უნიფიცირებული სქემებით, კრიტერიუმებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ავადმყოფებთან უშუალო კონტაქტს, დასწრებას დილის კონფერენციებზე და შემოვლაზე, პაციენტთა კლინიკურ გარჩევაზე, მორიგეობა რეამინაციის განყოფილებაში. სტუდენტები გაეცნობიან თანამედროვე აპარატურას, მონიტორინგს, რეამინაციის განყოფილებასი გამოყენებულ მეთოდებს, მონაწილეობას მიიღებენ მათ ჩატარებაში. თეორიული მომზადება მოხდება სახელმძღვანელოებით, კლინიკაში დამუშავებული რეფერატებით. სასწავლო კურსი მთავრდება გამოცდის ჩაბარებით.</p>
სასწავლო კურსის შინაარსი	<p>სასწავლო კურსი თავისი შინაარსით, ტექნოლოგიური და მიზნობრივი ორგანიზაციით ეფუძნება დასავლეთის პროგრესულ საგანმანათლებლო ფასეულობებსა და ცოდნის კომპეტენციის ჩარჩოებს კურაციის პროცესში. სტუდენტი შეიძენს დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობის, „სწავლის შესწავლის“ და „თვითგანათლების“ პრინციპებს. საგანთან მიდგომის ასეთი ტრანსფორმაცია გულისხმობს საერთო პროფილის დიპლომირებული ექიმის კომპეტენციის ჩარჩოებში ახალგაზრდა სპეციალისტებში კლინიკური აზროვნების, სინდრომული დიფერენციული დიაგნოსტიკის, კრიტიკულ სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის (მათ შორის „სიცოცხლის შენარჩუნების“) უნარების გამომუშავებას. პრიორიტეტულს წარმოადგენს აგრეთვე სტაციონარში მოთავსებამდე სინდრომული დიაგნოსტიკის, სიცოცხლისთვის უშუალო საფრთხის ლიკვიდაციის, ეტაპობრივი</p>

	<p>მკურნალობისა და პაციენტის ტრანსპორტირების პრინციპების ცოდნა. თანამედროვე სავალდებულო საექიმო ცოდნის ასპექტში სტუდენტები გაეცნობიან ენდოგენურ ტოქსემიას, ორგანიზმის დეტოქსიკაციის მეთოდებს, ენტერალური ზონდური და პარენტერალური კვების საკითხებს, ანტიბაქტერიულ თერაპიას. სასწალო პროგრამაში შეტანილია სამედიცინო დახმარების პრინციპები სამხედრო-საველე და სტიქიური უბედურებისა და კატასტროფების პირობებში; სამედიცინო კანონმდებლობა; იურიდიული ასპექტები.</p>
	<p style="text-align: center;"><b>ლექცია</b></p> <p>1. კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის საფუძვლები. კრიტიკულ მდგომარეობათა სტადიები, დიაგნოსტიკის და მკურნალობის ზოგადი პრინციპები</p> <p>2. ანესთეზიოლოგიის საფუძვლები, გაუტკივარების ზოგადი პრინციპები საველე და ჰოსპიტალის პირობებში</p> <p>3. კატასტროფათა მედიცინის საფუძვლები. სამედიცინო დახმარების ზოგადი პრინციპები კატასტროფის კერაში და ევაკუაციის ეტაპებზე.</p> <p><b>პრაქტიკული მეცადინეობა</b></p> <p>თემა 1.</p> <p>კრიტიკული მდგომარეობა, კრიტიკული მდგომარეობების თავისებურებები. სისხლის მიმოქცევის მწვავე უკმარისობა. გულის გაჩერება ( მიზეზები, სახეები, კლინიკური ნიშნები). კლინიკური სიკვდილი, თავის ტვინის სიკვდილი, სოციალური სიკვდილი, ბიოლოგიური სიკვდილი, გულის გაჩერების მკურნალობა საველე და სტაციონარის პირობებში, გულის გაჩერების მკურნალობის სტადიები და ეტაპები. გულის მასაჯის სახეები, ტექნიკა, გართულებები. ფილტვების</p>

ხელოვნური ვენტილაცია, სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა. გულის ელექტრონული და მედიკამენტური დეფიბრილაცია. კარდიოვერსია.

თემა2.

სუნთქვის მწვავე უკმარისობა, გამომწვევი მიზეზები, პათოგენეზი, კლინიკური ნიშნები, დიაგნოსტიკა, კლასიფიკაცია, მკურნალობის მეთოდები, სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენის მეთოდები ( შგთავსის ასპირაცია, ტრაქეოსტომია, კონიკოტომია, ბრონქოსკოპია). ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის მეთოდები. ხორხის მწვავე შეშუპება. ასთმური სტატუსი. მოზრდილთა რესპირატორული დისტრეს სინდრომი, სტრანგულაციური ასფიქცია, წყალში დახრჩობა, მასიური პნევმონია, დაჭიმული პნევმოთერაქსი, ჰაეროვანი ემბოლია, პილტვის არტერიის ემბოლია, ოქსიგენოთერაპია, პლევრის ღრუს ფუნქცია, დრენირება, ჰიპერბარული ოქსიგენაცია.

თემა 3.

შოკი, კლასიფიკაცია (ჰიპოვოლემიური, კარდიოგენული, გადანაწილებითი, ობსტრუქციული). ჰემორაგიული, სეპტიკური, ტრავმული, ანაფილაქსიური, ჰემოტრანსფუზიული, დამწვრობითი, მედიკამენტების ზემოქმედებით გამოწვეული, ენდო და ეგზოტოქსიკური შოკი. თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის მწვავე უკმარისობა. შოკის მკურნალობის პრინციპები და ეტაპები. ანაფილაქსიური შოკის პროფილაქტიკა, მკურნალობა. ინფუზიურ-ტრანსფუზიული თერაპიის მეთოდები (სისხლძარღვთა კათეტერიზაცია ტექნიკა, ჩვენებები, გართულებები).

თემა 4.

ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგიით განპირობებული კრიტიკული მდგომარეობა (გამომწვევი მიზეზები, პათოგენეზი, კლინიკა). ქალა-ტვინის მძიმე ტრამვა. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა. კრუნჩხვითი სინდრომი, ეპილეფსიური სტატუსი. ენდოგენური და ეგზოგენური ინტოქსიკაციებით გამოწვეული კომატოზური მდგომარეობა. მეტაბოლური კომა. დიაბეტური კომა. თავის ტვინის შემუპება, ქალასშიდა წნევის მომატება, ტვინის სტრუქტურების დისლოკაცია, პაციენტის ცნობიერების შეფასება გლზგოს შკალით, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის მოშლის მიზეზები და მათი მკურნალობა ც.ნ.ს პათოლოგიის დროს. ქრონიკული და ვეგეტატიური მდგომარეობა, იზოლაციის სინდრომი.

თემა5.

თირკმელების მწვავე უკმარისობა. ღვიძლის მწვავე უკმარისობა. მწვავე მოწამვლა ნახშირჯანგით, ალკოჰოლით, ნარკოტიკული პრეპარატების. მჯავა-ტუტოვანი თანაფარდობა. წყლისა და ელექტროლიტური ცვლის მოშლა. ხანგრძლივი ზეწოლის სინდრომი, ავთვისებიანი ჰიპერთერმიის სინდრომი. ფორსირებული დიურეზი, ჰემოსორბცია, ჰემოდიალიზი, პლაზმაფერეზი.

თემა 6.

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციების შეფასება. მონიტორინგის სახეები. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მოვლა, ინფექციური გართულებების, თავიდან აცილების და მკურნალობის მეთოდები. ენტერალური ზონდური, პარენტერალური და

	<p>შერეული კვება. მეტაბოლიზმის რეგულირება, საქართველოს კანონმდებლობა კრიტიკულ მდგომარეობათა შესახებ.</p> <p>თემა7. კატასტროფათა სამედიცინო ასპექტები. დაშავებულთა დახარისხება, პირველი დახმარება და ტრანსპორტირება სტიქიური უბედურების და ტერორისტული აქტების კერებიდან. გაუტკივარების მეთოდები პაციენტთა პირველი დახმარების და ტრანსპორტირების დროს, სამკურნალო ნარკოზი.</p>
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>სტუდენტის მოღწევა ფასდება 100 შკალით, შუალედური და საბოლოო გამოცდის შეფასების ჯამით. შუალედური შეფასების კომპონენტები :</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დასწრება მეცადინეობაზე - 10 ქულა, (ლექცია 3- ქულა, კურაცია-7 ქულა)</li> <li>• აკადემიური აქტივობა-35 ქულა</li> <li>• მორიგეობა, რეფერატი-15 ქულა</li> <li>• საბოლოო გამოცდის მაქსიმალური შეფასება-40 ქულა</li> <li>• გამოცდაზე მიღებული მინიმალური შეფასება 24ქ</li> </ul> <p>შეფასების სისტემით დაშვებულია:</p> <p>ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100%</li> <li>• (B) ძალიან კარგი- მაქს. შეფასების 81-90%</li> <li>• (C) კარგი- მაქს. შეფასების 71-80%</li> <li>• (D) დამაკმაყოფილებელი-მაქს. შეფასების 51-70%</li> <li>• (E) საკმარისი- მაქს. შეფასების 51-60%</li> </ul> <p>B. ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (FX) ვერ ჩააბარა- მაქს. შეფასების 41-50% რაც ნიშნავს , რაც ნიშნავს რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით</li> </ul>

	<p>გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• (F) ჩაიჭრა- მაქს. შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul>
გამოცდაზე დასწრების წინაპირობა	შუალედური შეფასება მაქსიმალური შეფასების 11% და მეტი
სასწავლო ლიტერატურა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სავალდებულო</li> <li>• ზ. ხელაძე - კრიტიკული მედიცინა. 2007.</li> <li>• დეპარტამენტში მომზადებული რეფერატები ;</li> <li>• შ. მაჭავარიანი- რენიმატოლოგია და ანესთეზიოლოგია. 1985, თბ.</li> </ul> <p>სავალდებულო და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა არის თსსუ და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.</p>
სწავლების შედეგები/ კომპონენტები	<p>ცოდნა და გააზრება</p> <p>კრიტიკული მედიცინის კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს აქვს საგნის თეორიული ცოდნა, ანალიტიკური გააზრების უნარი, უნარებისა და ჩვევების ბაზისური ცოდნა, შეუძლია შეადგინოს სამკურნალო-პროფილაქტიკური პროგრამები კრიტიკული და სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში, შეგნებული აქვს საგნის ღრმა სისტემური ცოდნისა და მუდმივი დამოუკიდებელი მუშაობის, განათლების მაღალი დონის მიღების აუცილებლობა.</p> <p>პრაქტიკაში ცოდნის გამოყენების უნარი სტუდენტი აზროვნებს ანალიტიკურად, პრაქტიკულად იყენებს მიღებულ ცოდნას და შეძენილ უნარებს პრობლემების დაძლევის მიზნით, სარგებლობს სხვადასხვა მეთოდებით და ტექნოლოგიებით.</p> <p>პაციენტის მდგომარეობის შეფასება (გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, ცენტრალური ნერვული სისტემების, ცნობიერების, ღვიძლისა და თირკმელების ფუნქცია, მეტაბოლიზმი, სისხლის შედედების უნარი), სიცოცხლისთვის საშიშდარღვევების გამოვლენა, სასუნთქი გზების გამავლობის</p>

	<p>უზრუნველყოფა, ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია, გულის გარეგანი მასაჟი, კონიკოტომია, ტრაქეისტომია, ვენების კათეტერიზაცია, ოქსიგენოთერაპია, სისხლდენის შეჩერება, სისხლის შემცვლელების გადასხმა, კუჭს ამორეცხვა, ზონალური ენტერალური და პარენტერალური კვება, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მონიტორინგი, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვა.</p> <p>დასაკვნების გაკეთების უნარი სტუდენტი დამოუკიდებლად აკეთებს დასაკვნებს, ანალიზებს სიტუაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს ავადმყოფის სტაციონარში მოთავსებამდე და სტაციონარში.</p> <p>კომუნიკაციის უნარი სტუდენტი ფლობს კომუნიკაციის ჩვევებს როგორც კოლეგებთან, ასევე პაციენტებთან და მათ ახლობლებთან ურთიერთობისას, იცავს დეონტოლოგიისა და სამედიცინო ეთიკის პრინციპებს.</p> <p>ცოდნის მიღების უნარი სტუდენტს შეუძლია შეაფასოს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, მისი შევსებისა და სრულყოფის აუცილებლობა, პრიორიტეტები.</p> <p>პროფესიული ფასეულობები შესწავლის პროცესში სტუდენტი შეიცნობს ძირითადი სამედიცინო ფასეულობების არსს და ისწრაფვის ძირითადი სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, რომელიც გულისხმობს თეორიული ცოდნის (2 დონე) ტრანსფორმაციას უფრო მაღალ კატეგორიად, ისეთად, როგორიცაა უნარი (3 დონე) და აზროვნება (4დონე); ქმნის დიპლომის შემდგომი ეტაპის ( მაგისტრატურა, დოქტორანტურა) გავლისა და სამედიცინო განათლების მუდმივი ამაღლების მყარ საფუძველს.</p>
--	--